



**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #089/17<sup>1</sup>  
გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა**

*ქრისტინე მაისურაძე (სტუდენტი)*

**1. ფაქტები**

საჩივრის ავტორის მეგობარსა და მეგობრის ძმის შვილს შორის თბილისის საქალაქო სასამართლოში უძრავ ნივთთან დაკავშირებით მიმდინარეობდა სამოქალაქო დავა. მოსარჩელის თქმით პროცესის დაწყებამდე ადვოკატმა მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა გინების ფორმით, თუმცა აღნიშნული ფაქტი უდაო გარემოებად არ იქნა მიჩნეული, რადგან მხარეებმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიციები წარმოადგინეს.

**2. პროცესუალური ისტორია**

ეთიკის კომისიაში მოსარჩელემ შეიტანა საჩივარი, რომელშიც ითხოვდა ადვოკატის მიმართ დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებას. საპროცესო კოლეგიამ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატის მიმართ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5.გ და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

**3. სამართლებრივი შეფასება**

ადვოკატის მიერ მოწინააღმდეგე მხარის და მისი თანმხლები პირის მიმართ გინების ფორმით სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება არ შეესაბამება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის სტანდარტებს. ასეთი ქცევა შესაძლოა ჩაითვალოს ადვოკატის მხრიდან უპატივცემულობის გამოხატვის ფორმად და სხვისი უფლებების შელახვად.

ვინაიდან მოსარჩელეს გააჩნდა პრეტენზია, რომ ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა ქცევის სტანდარტი, შესაბამისად მასვე ეკისრება ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს დისციპლინირების საქმის განხილვაში სარწმუნო და ურთიერთშეთანხმებული მტკიცებულებებით, რომ ადვოკატმა დაარღვია პროფესიული ეთიკის ნორმები. თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ მოსარჩელე არ გამოცხადდა ზეპირ განხილვაზე, კომისიას ისევე, როგორც ადვოკატს არ ჰქონდა შესაძლებლობა და საშუალება მისთვის დაესვა კითხვები. ამ პირობებში კი საჩივრის ავტორის მიერ საპროცესო მოკვლევის ეტაპზე მიცემულ განმარტებას ვერ ექნება მაღალი მტკიცებულებითი ძალა.

შესაბამისად, კომისია ვერ ადგენს ადვოკატის მიერ მოსარჩელის უფლებების შელახვას ან მის მიმართ უპატივცემლობას.

**4. დასკვნა**

ეთიკის კომისიამ არ დაადგინა ადვოკატის მხრიდან პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებების შელახვისა ან პროცესის მონაწილეების უპატივცემულოდ მოპყრობის ფაქტი და ადვოკატს არ დააკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა.